

სტუდენტური ფორუმი

სასამართლო რეფორმის ზოგიერთი ინსტიტუციური ხარვეზის შესახებ

პანო ჭაჭუა*

საქართველოს ახალმა კონსტიტუციამ გაიზიარა საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი თეორიული თუ პრაქტიკული გამოცდილება და სასამართლო ხელისუფლება გამოაცხადა სახელმწიფო ხელისუფლების ტრიადის დამოუკიდებელ შტოდ. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის აღიარებამ კი სასამართლოს რეფორმის პროცესი გარდაუვალი და შეუქცევადი გახადა. მან დაანგრია საბჭოთა რეჟიმის სასამართლოს სტერეოტიპი, როცა ეს უკანასკნელი, ფაქტობრივად, კომუნისტური პარტიის სტრუქტურული დანაშაუნი და ავტორიტარული კონტროლის ფუნქციის განმახორციელებელი მექანიზმი იყო სახელმწიფოსა და მისი „პატრონების“ – პარტიული დიქტატორების ხელში.

მეცნიერულად დასაბუთებულია მოსაზრება, რომ ქვეყანაში მართლმსაჯულების დემოკრატიულად განხორციელება დამოკიდებულია იმ ცივილიზაციასა და, განსაკუთრებით, სამართლებრივ კულტურაზე, რომელიც შექმნა ამ სახელმწიფომ საუკუნეების განმავლობაში. მაშინ, როცა ზოგიერთ ქვეყანაში „სჯიდნენ“ ცხოველებს (მაგ., რუსეთში მარქენალი თხა დასაჯეს) თუ ნივთებს (მაგ., ყური ჩამოტეხეს ეკლესიის ზარს), ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნით, მოსამართლე უნდა ყოფილიყო „დიდად მჩხრეკველი, მიმხვდური, გამომძიებელი, გონებააუჩქარებელი, დანყნარებული, გამგონე, საჩივრის ყურის მიმგდები, გამსინჯავი... უქრთამო, ღმრთის მოშიში“¹, ამიტომ ნებისმიერი დემოკრატიული ინსტიტუტი საქართველოში, მისი წარსული სამართლებრივი კულტურიდან გამომდინარე, ნოყიერ ნიადაგს პოვებს.

დღესაც აქტუალურია იურიდიულ მეცნიერებაში არსებული დავა: განეკუთვნება თუ არა სასამართლო სამართალდამცავ ორგანოებს, ანუ შედის თუ არა სასამართლო (საერთო საკონსტიტუციო, საარბიტრაჟო და ა.შ.) სამართალდამცავ ორგანოთა სისტემაში, რასაც არა მხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.² მართალია, სასამართლოს უპირველესი ფუნქცია ადამიანის უფლებათა პრიორიტეტული დაცვაა, თუმცა მთელი რიგი იურისტებისა მას მაინც არ მიიჩნევენ სამართალდამცავ ორგანოდ და მის საქმიანობას განიხილავს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სისტემის შიგნით.³ მათი აზრით, სასამართლო შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე ასრულებს მხოლოდ არბიტრის ფუნქციას ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის და საქმეს წყვეტს ერთ-ერთის სასარგებლოდ; ამასთან, ქართველ იურისტთა უმრავლესობა მას განიხილავს სამართალდამცავ ორგანოთა სისტემაში. თუმცა ერთ რამეზე არავინ დავობს: სასამართლო ხელისუფლება, საბოლოო ანგარიშით, ძალზე დიდ როლს ასრულებს სახელმწიფოს განვითარებაში⁴ (ადამიანის უფლებათა დაცვა, სტაბილიზაცია, სოციალური პროგრესი, ეკონომიკის აღმავლობა, დემოკრატია და ა.შ.). როგორც ცნობილია, დიდია სასამართლოს წვლილი კანონის განმარტებასა და მისი ხარვეზების ამოვსების საქმეში. სულერთია, თუ რომელი მოსამართლის მიერაა შემუშავებული იგი.⁵ ამიტომაც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში მთელი სიმწვავეთ დაისვა სასამართლოს

* თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი.

¹ სურგულაძე, ქართული სამართლის ძეგლები, თბილისი, 2000.

² გაბისონია, პროკურატურის სტატუსი საზღვარგარეთ და საქართველოში, თბილისი (ფავორიტი), 1999, 71.

³ იქვე.

⁴ მელქაძე, საუბრები ქართულ კონსტიტუციაზე, თბილისი (უფლება), 1996, 154.

⁵ ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი (სამართალი), 1997, 124.

რეფორმირების საკითხი. ქართველი იურისტების ძალისხმევით გატარდა სასამართლო რეფორმა, რომელმაც საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან დადებითი შეფასებები დაიმსახურა და მთელ დსთ-ის სივრცეში საუკეთესოდ იქნა მიჩნეული. ამასთან, ეს რეფორმა არ არის და არც შეიძლება იყოს იდეალური. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ მის ხარვეზებზე საუბარი გაუთავებლად გრძელდება, რაც მხოლოდ პოზიტიურ გავლენას თუ მოახდენს მათ აღმოფხვრაზე.

წინადადებულ ნაბიჯად იქნა აღქმული ჩვენში იუსტიციის საბჭოს შექმნა, რომელსაც მიენიჭა ფართო უფლებამოსილებები. ამ ორგანოს მიერ შემუშავდა რიგი პროგრესული და მართლმსაჯულებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი აქტებისა,⁶ მაგრამ საქართველოს იუსტიციის საბჭოს მოდელი არ ჯდება კონსტიტუციის ფარგლებში, ვინაიდან მის შესახებ არაფერია ნათქვამი უმთავრეს საკანონმდებლო აქტში, რაც დემოკრატიული პრინციპების რეალიზებასა და მოსამართლის დამოუკიდებლობას საფრთხეს უქმნის. აღსანიშნავია, რომ უცხოეთში ანალოგიური სტრუქტურების სტატუსს, როგორც წესი, საკმაოდ დეტალურად განსაზღვრავს კონსტიტუციები (მაგ., ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი, გერმანია, პორტუგალია და ა.შ.),⁷ საქართველოში კი საბჭოს სტატუსს განსაზღვრავს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, რომლის მიხედვითაც იგი არის სასამართლო რეფორმის კოორდინატორი, პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სასამართლოების საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფაში. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ იუსტიციის საბჭოს მოწყობის ზოგი დეტალი დღესაც კამათს იწვევს ქართველ იურისტებში, რაც განპირობებულია მისი გარკვეული „ინტერვენციული“ როლით მართლმსაჯულების განხორციელებაში.

დიდი გაუგებრობა გამოიწვია საბჭოს შემადგენლობაში პოლიტიკური ფიგურების შეყვანამ (პრეზიდენტი, პარლამენტის წევრები, იუსტიციის მინისტრი), რასაც შეიძლება მოჰყვეს ამ ორგანოს გაპოლიტიზება. კერძოდ, ეს მოდელი საშუალებას აძლევს პოლიტიკურ ხელისუფლებას, მის მიერვე დაკომპლექტებული საბჭოს მეშვეობით შეარჩიოს და დანიშნოს მოსამართლეთა კორპუსში სასურველი კანდიდატები და შემდგომშიც ზემოქმედება მოახდინოს მათზე, ვინაიდან იუსტიციის საბჭო ფლობს მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური დევნის განხორციელების ფუნქციას. თუმცა, ზოგი რეფორმატორის აზრით, ეს ოპტიმალური ვარიანტია და თუ საბჭო „რიგითი“ ადამიანებისაგან დაკომპლექტდებოდა, მათზე უფრო ადვილად განხორციელდებოდა ზემოქმედება. ამის საილუსტრაციოდ მოჰყავთ იტალიის, გერმანიისა და ესპანეთის მაგალითები,⁸ სადაც, თითქოს, ანალოგიური წესი არსებობს, თუმცა, სინამდვილეში, არცერთი ჩამოთვლილი ქვეყნის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საბჭოების დაკომპლექტების ასეთ პრინციპს. უფრო მეტიც, იტალიის კონსტიტუციით იკრძალება ანალოგიურ სტრუქტურაში ისეთი პირების შეყვანა, როგორებიცაა: პარლამენტის ან საოლქო საბჭოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები, მინისტრები და მათი მოადგილეები.⁹ გერმანიაში კი ასეთი საბჭოს შემადგენლობაში შედიან მხოლოდ მოსამართლეთა წარმომადგენლები.¹⁰ ესპანეთის სასამართლო ხელისუფლების გენერალურ საბჭოში (რომელიც ოცი წევრისაგან შედგება) შედის მოქმედ მოსამართლეთაგან არჩეული 12 მრჩეველი და პარლამენტის მიერ არჩეული 8 წევრი (4-4-ს ირჩევს სენატი და კონგრესი კვალიფიციური იურისტებისა და 15-წლიანი სტაჟის მქონე ადვოკატებისგან).¹¹ საფრანგეთის მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს ცხრავე წევრს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზი-

⁶ გოცირიძე, ღირებულებათა აღიარებიდან მათ რეალურ დამკვიდრებამდე, სამართალი, 1999, №4, 12.

⁷ ვრცლად იხ. მელქაძე (რედ.), მსოფლიოს ქვეყნების სამართლებრივი სისტემები, თბილისი, 2002.

⁸ სააკაშვილი, სასამართლო რეფორმა უფრო სამართლიანი საქართველოსთვის, საქართველოს რესპუბლიკა, 1997, 4 სექტემბერი, 3.

⁹ ბეჟიტაშვილი/მელქაძე, იტალიის სახელმწიფო სისტემა, უფლება, თბილისი, 1997, 131.

¹⁰ მელქაძე (რედ.), მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები, თბილისი, 2001, 139.

¹¹ მეიშვილი, საქართველოს იუსტიციის საბჭო და ესპანეთის სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭო, მართლმსაჯულების მაცნე, 1998, №1.

დენტი და მის კონსტიტუციაში არაფერია ნათქვამი მაგისტრატურის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში პარლამენტის წევრებისა და სხვა პოლიტიკური ფიგურების შეყვანაზე¹². საერთოდ, როგორც აღინიშნა, მონინავე ქვეყნებში მინიმუმამდეა დაყვანილი ასეთ სტრუქტურებში პოლიტიკოსთა მოღვაწეობა.

საკითხისადმი არაერთგვაროვან მიდგომად უნდა ჩაითვალოს იუსტიციის საბჭოს წევრობისათვის დადგენილი ასაკობრივი ცენზი – 25 წელი. გამოდის, რომ 25 წლის პირი მონაწილეობს არანაკლებ 30 წლის ასაკის, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე და საკვალიფიკაციო გამოცდაგამოვლილი მოსამართლის შერჩევასა თუ პასუხისმგებლობის საკითხის დადგენაში. შედარებისათვის აღვნიშნავ, რომ ესპანეთში საბჭოს წევრობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს იურიდიული პროფილით მუშაობის სულ ცოტა 15 წლის სტაჟი, ან უნდა იყოს მოსამართლეთა ან პროკურორთა შემადგენლობიდან არჩეული.¹³ იტალიის მაგისტრატურის უმაღლეს საბჭოში კი, მართალია, შედის პრეზიდენტი, საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარე, გენპროკურორი, მაგრამ დანარჩენი 20 წევრი აირჩევა ორდინარული მოსამართლეებისაგან, ხოლო 10 წევრს ირჩევს პარლამენტი იურიდიულ მეცნიერებათა პროფესორისა და 15-წლიანი სტაჟის მქონე ადვოკატებისაგან.¹⁴ როგორც ჩანს, ზოგიერთ ცივილიზებულ ქვეყანაში ანალოგიური საბჭოები კომპლექტდება მოსამართლეებისგან, პრაქტიკოსი თუ თეორეტიკოსი, ამასთან, დიდი გამოცდილების მქონე იურისტებისაგან. ასეთ ფონზე ჩვენი კანონმდებლობის მიდგომა, განსხვავებით ზემოჩამოთვლილი ქვეყნებისგან, ამ საკითხისადმი გაუმართლებლად შეიძლება ჩაითვალოს.

ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ანალოგიურ საბჭოებს ენიჭებათ უფრო ფართო უფლება-მოსილება (გენერალური პროკურორის, უზენაესი სასამართლოს წევრობის კანდიდატთა წარდგენა, სამართალდამცავ ორგანოთა ფორმირებაში აქტიური მონაწილეობა და ა.შ.).¹⁵ თუმცა ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ არ ითვალისწინებს იუსტიციის საბჭოს დამატებით (არასასამართლო) ფუნქციებს, თანდათანობით მკვიდრდება მისი მონაწილეობა პროკურატურის, ადვოკატურის ორგანოთა ფორმირებაში (როგორც ცნობილია, ამ სფეროში საკვალიფიკაციო გამოცდები ჩაატარა იუსტიციის საბჭომ). ეს პროგრესული მოვლენაა, თუმცა არა ადვოკატებთან მიმართებით, ვინაიდან ადვოკატი არასახელმწიფო პირია. იგი მოქმედებს, როგორც კერძო მენარმე, არ ფინანსდება სახელმწიფოს მხრიდან და იხდის დანებს მუშაობის გადსახადს მოგებიდან. მისი დანიშნვა არ უნდა იყოს დამოკიდებული სახელმწიფო ორგანოზე, თუმცა იუსტიციის საბჭოს ფუნქციათა გაზრდა უნდა მოხდეს სახელმწიფო ორგანოთა ფორმირების ხარჯზე. „ადვოკატთა შესახებ კანონის“ თანახმად, იუსტიციის საბჭომ უნდა განახორციელოს ადვოკატთა ტესტირების ჩატარება ადვოკატთა ასოციაციის შექმნამდე. უპირანი იქნებოდა, თუ საქართველოს იუსტიციის საბჭო მიიღებდა ანალოგიურ ფუნქციებს ყველა სამართალდამცავი ორგანოს მიმართ და გახდებოდა ქვეყანაში სამართლებრივი რეფორმის (ფართო გაგებით) განმახორციელებელი, პოლიტიკურად ნეიტრალური ორგანო. ასეთ შემთხვევაში საჭიროა შეიქმნას იუსტიციის საბჭოს ორი პალატა: პირველი კომპეტენტური იქნებოდა მოსამართლეთა მიმართ, მეორე – პროკურორების, გამომძიებელთა და სხვა სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლების მიმართ.

ასევე, საჭიროა, საქართველოს იუსტიციის საბჭო გახდეს ერთიანი და ცენტრალიზებული საქართველოს ყველა სასამართლოს (მოსამართლის) მიმართ, როგორც ეს ესპანეთშია – რომელიც

¹² *კვერენხილაძე/მელქაძე*, საფრანგეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი (უფლები), 1997, 129-130.

¹³ *მეიშვილი*, საქართველოს იუსტიციის საბჭო და ესპანეთის სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭო, მართლმსაჯულების მაცნე, 1998, № 1.

¹⁴ *მელქაძე* (რედ.), საზღვარგარეთის ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი, თბილისი (მერანი), 1999, 228.

¹⁵ *მეიშვილი*, საქართველოს იუსტიციის საბჭო და ესპანეთის სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭო, მართლმსაჯულების მაცნე, 1998, № 1.

შედგება 17 ავტონომიური ერთეულისაგან, მაგრამ მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო ერთადერთია მთელ ქვეყანაში.¹⁶ ჩვენთან კი ორივე ავტონომიურ რესპუბლიკას თავიანთი იუსტიციის საბჭოები აქვს. ამასთანავე, იუსტიციის საბჭოს წევრის მეტი დამოუკიდებლობისათვის საჭიროა გაიზარდოს მათი უფლებამოსილების სამწლიანი ვადა (საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყანაში ისინი ინიშნებიან სიცოცხლის ბოლომდე, მაგ., გერმანიაში მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს წყვეტს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო (ანუ იგი იუსტიციის საბჭოს ფუნქციითაა აღჭურვილი), რომლის წევრებიც თანამდებობაზე ინიშნებიან სიცოცხლის ბოლომდე.¹⁷ ზოგ ქვეყანაში კი ინიშნებიან არანაკლებ ოთხი წლის ვადით, მაგ. საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში).

ამრიგად, იუსტიციის საბჭოს შექმნა, მართალია, საბოლოო ანგარიშით, შეიძლება ჩაითვალოს სასამართლო რეფორმის აუცილებელ, გარკვეულწილად პროგრესულ ნაბიჯად, თუმცა კანონმდებელს, ეტყობა, მასთან დაკავშირებული ინსტიტუციური საკითხების მონესრიგებისას, ალბათ, უფრო მეტი დემოკრატიულობა და ქმედითობა მართებდა.

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღების პრობლემა კვლავ აქტუალური რჩება, ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორი შემადგენლობით განიხილავს სასამართლო საქმეებს. მსოფლიოში ცნობილია ნაფიც მსაჯულთა ორი სახე: ა) ანგლოსაქსური სისტემა, სადაც, ჩვეულებრივ, 12 მსაჯული წყვეტს ვერდიქტით პირის ბრალეულობის საკითხს, ხოლო მოსამართლე განსაზღვრავს სასჯელს და ბ) ე.წ. „შეფენების“ სასამართლო,¹⁸ რომელიც, მაგალითად, გავრცელებულია გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, სადაც მსაჯულები და მოსამართლე ქმნიან ერთ (ერთიან) კოლეგიას და განაჩენი ხმების უბრალო უმრავლესობით გამოაქვთ. იტალიაში მათ „ასიზებს“ უწოდებენ და ნაფიც მსაჯულებზე ნაკლები უფლებები გააჩნიათ.¹⁹

ამ ინსტიტუტმა საუკუნეების განმავლობაში ძალზე დიდი როლი შეასრულა ისეთი ქვეყნების მართლმსაჯულებაში, როგორიცაა: დიდი ბრიტანეთი, სადაც ჩაისახა იგი 1066 წელს, გავრცელდა მის კოლონიებში და შემდეგ კი მრავალ სხვა ქვეყანაშიც (აშშ, შვედეთი, იტალია, საფრანგეთი, კანადა და ა.შ.). ინგლისის გავლენით ეს ინსტიტუტი დაინერგა, აგრეთვე, ჯერ მეფის რუსეთში, შემდეგ კი საბჭოთა კავშირში, სადაც მოქმედებდა ე.წ. „შეფენების“ საბჭოური ნაირსახეობა (მათ შორის საბჭოთა საქართველოშიც). აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა თანდათან დაკარგა პოპულარობა, რის გამოც მსაჯულთა მონაწილეობით საქმეთა განხილვა მინიმუმადე დავიდა. მაგ., თვით ინგლისშიც კი ისინი განიხილავენ სისხლის სამართლის საქმეთა 4%-ს, ხოლო სამოქალაქო საქმეთა 1%-ს. ასევე თვალსაჩინოა მსაჯულთა რაოდენობისა და კომპეტენციის შემცირების ტენდენცია.²⁰ ყოველივე ეს განპირობებულია იმით, რომ მას ახასიათებს უფრო მეტი უარყოფითი თვისებები, ვიდრე დადებითი. ზოგი მეცნიერის აზრით, მათი მონაწილეობა მაინც აუცილებელია ისეთ დანამართლთა განხილვისას, რომელნიც ითვალისწინებენ სიკვდილით დასჯას.²¹

¹⁶ მეიშვილი, საქართველოს იუსტიციის საბჭო და ესპანეთის სასამართლო ხელისუფლების გენერალური საბჭო, მართლმსაჯულების მაცნე, 1998, №1.

¹⁷ *მელქაძე/რამიშვილი*, გერმანიის კონსტიტუციური სამართალი, თბილისი, 1998, 145.

¹⁸ *ფალიაშვილი*, სასამართლო რეფორმის და საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები, სამართალი, 1999, №3-4.

¹⁹ *ჭაჭუა*, მოსამართლე ოდენ ბაგეა კანონისა, ახალგაზრდა იურისტი, 2001, მაისი, 8.

²⁰ *ფალიაშვილი*, სასამართლო რეფორმის და საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები, სამართალი, 1999, №3-4.

²¹ *ფალიაშვილი*, სასამართლო რეფორმის და საპროცესო კანონმდებლობის სრულყოფის საკითხები, სამართალი, 1999, №3-4.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დადებითი თვისებებია: 1) იგი ოდითგანვე იყო დემოკრატიული უღობის სიმბოლო და ბევრ ქვეყანაში დიდი სამსახური გაუწია კიდევ დემოკრატიის ჩამოყალიბებას; 2) იგი მიჩნეულია ჰუმანურ ინსტიტუტად, ვინაიდან მსაჯული უბრალო მოქალაქეა და არ ახასიათებს იურისტისათვის დამახასიათებელი პედანტურობა; 3) მსაჯულები იყენებენ ე.წ. „სამოყვარულო მეთოდებს“, რომელნიც ხშირ შემთხვევაში იურისტების მკაცრ ლოგიკაზე უფრო ეფექტიანია ჭეშმარიტების დასადგენად; 4) როცა საქმე წყდება კოლეგიურად, მეტია ობიექტურობის დადგენის ალბათობა; 5) ხდება თვითმმართველობის დემოკრატიული პრინციპის რეალიზაცია, ვინაიდან მსაჯულები აირჩევიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ; 6) იგი ხელს უწყობს მოსამართლის დამოუკიდებლობას, ვინაიდან, არაპოპულარული განაჩენის გამოტანისას, როცა მოსამართლე ექცევა კრიტიკის ქარცეცხლში, მსაჯულები ინარჩუნებენ ანონიმურობას და ეს საფრთხე არ ემუქრებათ;²² 7) როცა საზოგადოება (მსაჯულის სახით) ღებულობს მონაწილეობას განაჩენის გამოტანაში, უფრო იოლდება მისი აღსრულება და ა.შ.

რაც შეეხება უარყოფით მხარეებს, ისინი უფრო მნიშვნელოვანია: 1) ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა თავისი დრო მოჭამა და მსოფლიოში მისი ავტორიტეტი თანდათანობით ეცემა; 2) მათი მონაწილეობა ართულებს პროცედურას და მართლმსაჯულება არაეფექტიანი, მოუქნელი ხდება; 3) ეს ინსტიტუტი ძალზე ძვირადღირებულია (მაგ., აშშ-ში ნაფიც მსაჯულთა პროცესის ერთი საათი ჯდება 250 აშშ-ის დოლარი); 4) მათი მონაწილეობით პროცესი დროში ძალზე იწელება; 12 მსაჯულის გამოცხადება პროცესზე ხშირად შეუძლებელია, ან ძნელდება, რაც იწვევს სხდომათა გაუთავებელ გადადებებს და მართლმსაჯულების შეფერხებას; 5) საქმე ურთულდებათ ადვოკატებს, რადგან უწევთ არაპროფესიონალი მსაჯულებისათვის (რომელთაც მოსმენის კულტურის დონე ყოველთვის მაღალი როდი აქვთ) თავიანთი სიტყვის დეტალიზება; 6) ხშირად ისინი ახდენენ კანონის იგნორირებას და, ვითომ სამართლიანობის, ჰუმანურობის სულისკვეთებიდან გამომდინარე, ამართლებენ აშკარა დამნაშავეებს; 7) მსაჯულები ზღუდავენ მოსამართლის თავისუფლებას, ვინაიდან პროფესიონალი მოსამართლის პოზიცია ხშირად მათ სურვილებს ეწირება; 8) მსაჯულებს არ ძალუძთ ობიექტურობის პრინციპის შენარჩუნება (მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ქართულ ხასიათს, ახლობლებისა და ნაცნობ-მეგობრებისათვის უპირატესობის მინიჭებას, ამ ინსტიტუტის დანერგვის შემთხვევაში სასამართლოს ობიექტურობას საფრთხე დაემუქრება);²³ 9) სასამართლო, რომელსაც სახელმწიფოს სახელით გამოაქვს გადაწყვეტილება, ზოგჯერ ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს წყვეტს, მართლმსაჯულების ჯეროვნად განხორციელება კი რთული, ხანგრძლივი და სასიცოცხლო ამოცანაა, რომელიც ფაქტებზე დაყრდნობით, კანონის ღრმა ანალიზის საფუძველზე უნდა განახორციელოს პროფესიონალმა მოსამართლემ, ამას კი „სამართლებრივად უბიირი“ მსაჯული ვერ შეძლებს; 10) მსაჯული პასიური მსმენელის როლში გამოდის – იგი პირადად არ უსვამს (ვერც დაუსვამს) შეკითხვებს მხარეებს და, შესაბამისად, ქართველი მოსამართლე, ფაქტობრივად, ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებას (თუმცა ამ სფეროში მსაჯულთა აქტიურობა უფრო ავნებდა მართლმსაჯულებას).²⁴ ამ ინსტიტუტის მანკიერი მხარეების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, თუმცა ესეც საკმარისია დასკვნისთვის: მსაჯულებმა ამონურეს თავიანთი მისია განვიღო საუკუნეებში და XXI საუკუნის საქართველოს ვერაფერში წაადგებიან.

²² *მელქაძე/დვალი*, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბილისი (მერანი-3), 2001, 154.

²³ *აქუბარდია*, საქართველოს სასამართლოს სისტემა, თბილისი (მერიდიანი), 2001, 57.

²⁴ *ჭაჭუა*, მოსამართლე ოდენ ბაგეა კანონისა, ახალგაზრდა იურისტი, 2001, მაისი, 8.

ამ ფონზე ყურადღებას იქცევს კანონმდებლის პოზიციის არათანამიმდევრულობა. კერძოდ, ორგანულმა კანონმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ (1997 წლის 13 ივნისი) გააუქმა მსაჯულთა ინსტიტუტი, რაც დიდ მიღწევად ჩაითვადა, თუმცა ორგანულმა კანონმა „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ (1999 წლის 15 მაისი) დაუშვა მათი მონაწილეობა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში, რაც არალოგიკური და გაუმართლებელია: უფრო დაბალი რგოლის – საოლქო სასამართლოს კოლეგია პირველი ინსტანციით საქმეს განიხილავს სამი პროფესიონალი მოსამართლის შემადგენლობით, ხოლო უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია ამავე ინსტანციით უფრო რთულ საქმეებს იხილავს ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით. ამდენად, აქაც საჭიროა, მსაჯულებს ჩაენაცვლონ პროფესიონალი მოსამართლეები.

დიდი ინტერესი გამოიწვია მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის საკითხმა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/1/138, 171, 179, 209 გადაწყვეტილებით (2003 წლის 26 თებერვალი), მოსამართლის უფლებამოსილების ვადაზე დამოკიდებული მისი მიუკერძოებლობა და, ზოგჯერ, კვალიფიციურობაც. პროფესიონალ მოსამართლედ ფრიად განათლებული იურისტიც კი მხოლოდ პრაქტიკაში თუ ჩამოყალიბდება. ამასთან, რაც უფრო ხანგრძლივად ინიშნება მოსამართლე, მით მეტია დამოუკიდებლობის ხარისხი, ხოლო მცირე ხნით დანიშნული მოსამართლე ყველანაირად ცდილობს, არ გაანაწყენოს ხელისუფლება, რათა ისევ დანიშნონ მოსამართლის თანამდებობაზე. ამით კი მის ობიექტურობას საფრთხე ექმნება. აღნიშნული ნაწილობრივ გაიზიარეს რეფორმატორებმა და ნაცვლად 5-წლიანი ვადისა, შემოიღეს მოსამართლეთა დანიშვნა 10-წლიანი ვადით (თავის დროზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის პროექტი ითვალისწინებდა სამწლიანი საგამოცდო ვადის გავლის შემდეგ მოსამართლის უვადო დანიშვნას,²⁵ მაგრამ მასზე უარი ითქვა იმ მოტივით, რომ ეს ახალგაზრდა იურისტებს სასამართლო ხელისუფლებისკენ გზას გადაუკეტავდა),²⁶ თუმცა არც ათწლიანი ვადა არის ოპტიმალური გამოსავალი, ვინაიდან, იდეალურ შემთხვევაში, მოსამართლე თანამდებობაზე ინიშნება მუდმივი ვადით, რასაც მონაწილეს უცხოეთის ქვეყნების მაგალითებიც:

გერმანიის კონსტიტუციით, რთული პროცედურის გავლის შემდეგ კანდიდატი მოსამართლის თანამდებობაზე ინიშნება სიცოცხლის ბოლომდე, თუმცა დაწესებულია განსაზღვრული ასაკი, რომლის მიღწევის შემდეგ იგი ვადის პენსიაზე;²⁷ რუსეთში არ არის მოსამართლის უფლებამოსილება ვადით შემოსაზღვრული (გარდა მომრიგებელი მოსამართლისა – 5 წელი);²⁸ აშშ-ის კონსტიტუციით, მოსამართლე ინიშნება სამუდამოდ და მისი გადაყენება ვადაზე მხოლოდ იმპიჩმენტითაა შესაძლებელი; დიდ ბრიტანეთში მოსამართლე თანამდებობაზე რჩება 72 წლის ასაკის მიღწევამდე; დაახლოებით ანალოგიური წესი არსებობს კანადაში, ბელგიაში, პორტუგალიაში, შვედეთში, ინდოეთში, ირანში, საბერძნეთში, ეგვიპტეში, ისრაელში და ა.შ.;²⁹ განსხვავებული წესია იაპონიაში, სადაც მოსამართლე ირჩევა ყოველ 10 წელიწადში ერთხელ (პარლამენტის ქვედა პალატის არჩევნებთან ერთად) და უკრაინაში, სადაც პირველად დანიშვნისას მისი უფლებამოსილების ვადაა 5 წელი, ხოლო შემდეგში ინიშნება სამუდამოდ (65 წლის ასაკის მიღწევამდე). ანალოგიური წესია ბულგარეთშიც, იმ განსხვავებით, რომ პირველი ვადა სამ წელს არ აღემატება.³⁰

როგორც ვხედავთ, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მოსამართლეები სამუდამოდ ინიშნებიან, ამიტომ უპრიანი იქნება, თუ სასამართლო რეფორმის მიერ დაწესებული 10-წლიანი ვადა გაიზ-

²⁵ ნინიძე, სასამართლო რეფორმის ძირითადი მიმართულებანი, სამართალი, 1998, №1-2.

²⁶ სააკაშვილი, დემოკრატიული პროცესების გზით, სამართალი, 1996, №5-6, 5.

²⁷ მელქაძე/რამიშვილი, გერმანიის კონსტიტუციური სამართალი, თბილისი (მერანი), 1999, 148.

²⁸ მელქაძე/ყურაშვილი, რუსეთის სახელმწიფო სისტემა, თბილისი (უფლება), 1997, 123.

²⁹ დაწვრილებით იხ. მელქაძე (რედ), მსოფლიო ქვეყნების სამართლებრივი სისტემები, თბილისი, 2001.

³⁰ მელქაძე/დვალა, სასამართლო ხელისუფლება საზღვარგარეთის ქვეყნებში, 204.

სტუდენტური ფორუმი

რდება, ან ჩვენი მოსამართლეების უფლებამოსილება გაგრძელდება საპენსიო ასაკის მიღწევამდე და მათი კარიერა არ იქნება დამოკიდებული ქვეყანაში პოლიტიკური ხელისუფლების შეცვლასთან, ე.ი. ექნებათ დამოუკიდებლობის მეტი გარანტია. სამწუხაროდ, საქართველოში განვითარდა საპირისპირო ტენდენცია, რასაც მოჰყვა ორგანულ კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ ცვლილების შეტანა. კერძოდ, 85²-ე მუხლის პირველი პუნქტით დაწესდა ე.წ. „სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელება“. ეს უკანასკნელი პრეზიდენტს ანიჭებდა უფლებას, თავისი განკარგულებით, 18 თვის ვადით მოსამართლის თანამდებობაზე დაენიშნა პირი, რომელსაც ჩაბარებული ჰქონდა მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდა ან ატესტაცია. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ ერთადერთი სწორი გამოსავალი იპოვა და გააუქმა აღნიშნული ნორმა.³¹

ამრიგად, სასამართლო რეფორმამ დაგვიტოვა მრავალი ინსტიტუციური ხარვეზი, თუმცა კითხვას: „ჩატარდა კი სასამართლო რეფორმა საქართველოში?“ – აუცილებლად დადებითი პასუხი უნდა გაეცეს (ამ კითხვას სახალხო დამცველის ეგიდით 2001 წლის მარტში ჩატარებულ სამეცნიერო კონფერენციაზე მონაწილეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ უარყოფითი პასუხი გასცა). უნდა ითქვას, რომ რეფორმა ხანგრძლივი, რთული, ეტაპობრივი პროცესია და იგი კვლავაც გრძელდება ჩვენს ქვეყანაში.

³¹ იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის №1/1/138,171,179, 209 გადაწყვეტილება (2003 წლის 26 თებერვალი).